რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№ 335/თ

„25“ ივლისი, 2018 წელი,
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების თაობაზე წერილობითი ინფორმაციის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 25 ივნისის №1/216 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საერთო სასამართლოებში სამართალწარმოებისას მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომის მდივანი უზრუნველყოფს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების სხდომის ოქმში დაფიქსირებას და პროცესის დასრულების შემდეგ, აღნიშნულის თაობაზე ადგენს წერილობით ინფორმაციას, რომელსაც წარუდგენს შესაბამისი სასამართლოს მენეჯერს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას უგზავნის საერთო სასამართლოების დეპარტამენტს. ამავე წესის თანახმად, წერილობით ინფორმაციაში უნდა აღინიშნოს: საქმის ნომერი, საქმის განხილვის დრო და ადგილი, საქმის განმხილველი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, პროცესის მონაწილის/მონაწილეთა ვინაობა, რომლებმაც ისარგებლეს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით, თარჯიმნის ვინაობა, პროცესის მონაწილის/მონაწილეთა მიერ თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების დეტალური აღწერა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის კონტროლის განხორციელებისა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების წერილობით დაფიქსირების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია დამტკიცდეს წერილობითი ინფორმაციის ფორმა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის № 466 ბრძანებულებით დამტკიცებული „რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხის კონტროლის განხორციელებისა და მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების წერილობით დაფიქსირების მიზნით, რუსთავის

საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში, დამტკიცდეს წერილობითი ინფორმაციის ფორმა, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების თაობაზე (დანართი №1, 2);

2. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს აპარატის სხდომის მდივნებს დაევალოთ მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები დააფიქსირონ სასამართლო სხდომის ოქმში;

3. რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს აპარატის სხდომის მდივნები, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების და მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, ვალდებული არიან შეადგინონ წერილობითი ინფორმაციის ფორმა, მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების თაობაზე (დანართი №1, 2), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ სასამართლოს მენეჯერს;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი და ინფორმაციის საერთო სასამართლოების დეპარტამენტისთვის გადაგზავნა დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მოსამართლეებსა და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თანამშრომლებს;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. რუსთავი ბოსტან ქალაქის ქ. №6).

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2018 წლის „25“ ივლისის №335/თ ბრძანებით

დანართი №1

წერილობითი ინფორმაცია
რუსთავის საქალაქო სასამართლოში
მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების შესახებ

მოსამართლე:	
სხდომის მდივანი:	
საქმის ნომერი:	
საქმის განხილვის დრო:	
პროცესის მონაწილის/მონაწილეთა ვინაობა, რომლებმაც ისარგებლეს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით:	
თარჯიმანი:	
თარგმნის ენა:	
პროცესის მონაწილის/მონაწილეთა მიერ თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების დეტალური აღწერა	

- წერილობითი ინფორმაცია უდნა შეივსოს სრულყოფილად;
- წერილობითი ინფორმაცია წარედგინება სასამართლოს მენეჯერს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას უგზავნის საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

წერილობითი ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ:

სხდომის მდივანი:

/_____/

ხელმოწერა

დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2018 წლის „25“ ივლისის №335/თ ბრძანებით

დანართი №2

წერილობითი ინფორმაცია
გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოში
მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურების შესახებ

მოსამართლე:	
სხდომის მდივანი:	
საქმის ნომერი:	
საქმის განხილვის დრო:	
პროცესის მონაწილის/მონაწილეთა ვინაობა, რომლებმაც ისარგებლეს მთარგმნელობითი და სათარჯიმნო მომსახურებით:	
თარჯიმანი:	
თარგმნის ენა:	
პროცესის მონაწილის/მონაწილეთა მიერ თარჯიმნის მომსახურებასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების დეტალური აღწერა	

- წერილობითი ინფორმაცია უდნა შეივსოს სრულყოფილად;
- წერილობითი ინფორმაცია წარედგინება სასამართლოს მენეჯერს, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას უგზავნის საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

წერილობითი ინფორმაციის სისწორეს ვადასტურებ:

სხდომის მდივანი:

/_____/

ხელმოწერა